

N. R.



ვანონია და მთავრობის განცარგულებათა

## კრებული

მთავრობის სამინისტროს საქადაგოს განცარგულების გამოხატვა

1919 წ. მარტის 12

№ 5

პირველი ნაწილი

13744

შ 0 6 ა რ ს ი:

- კან. 36. დოროშით წესები და თოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯარების უზრუნველყოფისა.
37. სახელმწიფო და სამინისტროს სამსახურის გამო ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულისა.
38. მთავრობის ოფიციალურ ირგანოს „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსებისა.
39. დოროშით დებულება საქართველოს წევდოთა ძალის გამოყენებისა.
40. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

## 36. დოროშითი წესები

დახოცილ ან მუშაობის უნარდაკარგულ სამხედრო პირთა, სახალხო გვარდიელთა და მოხალისეთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფისა.

მუხ. 1. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან, ვიდრე პენიია დაენიშნებოდეთ, ფულით დახმარების მიღების უფლება აქვს საქართველოს ჯარში და სახალხო გვარდიაში იმ სამხედრო მოსამსახურის და მოხალისეს ოჯახს, რომლის წევრიც მოიკლა ან გარდაიცვალა სომხებთან ოში მიღებულ ჭრილობისა, დაშავებისა თუ ავაღმყოფობისაგან. ასეთივე უფლებით სარგებლობს მუშაობის უნარდაკარგული დაშავებულიც.

მუხ. 2. იმ სამხედრო მოსამსახურებს, სახალხო გვარდიელს და მოხალისეს, რომელმაც დაშავების გამო დაკარგა მუშაობის უნარი და ამი-



ტომ იძულებულია სამხედრო სამსახური დასტოვოს, — ყოველ თვიური ჯამაგირი განესაზღვრება ასე: ოფიცერს და კლასის ხარისხოვანს, უკეთუ მუშაობის უნარი მთლად დაჰკარგვია, მიეცემა ორი მესამედი იმ ჯამაგირისა, რომელიც დადებული ჰქონდა დაჭრის დროს; ჯარისკაცები მისი ნორმალური ხელობის ხელფასის საშუალო ნორმის ან მის საცხოვრებელ ადგილის სარჩენ ან საჭირო ხარჯის საშუალო მინიმუმის ორი მესამედი, პირველი ქალაქის მუშისთვის, ხოლო მეორე სოფლის მცხოვრებს. უკეთუ დაშავებულს მუშაობის უნარი მთლად არ დაჰკარგვია, მიეცემა იმავე ნორმის ორი მესამედის ის ნაწილი, რომელიც შეეფერება მუშაობის უნარის დაკარგვის ხარისხს.

მუხ. 3. საშუალო ნორმის და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმის განსაზღვრა დაევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ყველა ამისათვის საჭირო ცნობებს მიიღებს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებისა და შრომის სამინისტროსაგან.

მუხ. 4. ხელფასის საშუალო ნორმა და სარჩენი ხარჯის საშუალო მინიმუმი ყოველ ჯარისკაცისათვის განისაზღვრება. იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი საომარ მოქმედების დაწყებამდე მუდმივად სცხოვრობდა.

მუხ. 5. ოჯახების წევრებს დახმარებად მიეცემათ გადაცვლილის წლიური ჯამაგირის შემდეგი ნაწილი:

1) ქვრივის — ერთი მესამედი სიკვდილამდის, ან ვიდრე გათხოვდებოდეს;

2) ორივე სქესის შვილებს: კანონიერთ, დაკანონებულთ, ნაშვილებთ და ქორწილს გარეშე ნაშობთ, ვიდრე 15 წლისანი გახდებოდნენ, თითოე — ერთი მეექვსედი, უკეთუ ერთ-ერთი მშობელი ცოცხალი ჰყავთ, და ერთი მეორეთ — სრულ ობლებს;

3) ახლო პირდაპირ ნათესავს: მშობლებს, მათ დედ-მამას — ერთი მეექვსედი, და

4) სრულ ობოლ ქმებს და დებს, ვიდრე 15 წლისანი შესრულდებოდნენ, თვითეულს — ერთი მეექვსედი, თუ-ვ და მე-4 ბუნქტში მოხსენებულნი პირნი გადაცვლილის სარჩენი იყვნენ.

მუხ. 6. ორივე მშობლის გადაცვალების შემდეგ შვილები (იხ. პუნ. მე-2, მუხ. მე-5) იღებენ ფულით დახმარების იმ ჯამს, რომელიც ეკუთვნის სრულ ობლებს.

მუხ. 7. ფულით დახმარების საერთო ჯამი, რომელიც მე-5 მუხ. მოხსენებულ გადაცვალებულის ოჯახის წევრებს ერგებათ, არ უნდა აღემატებოდეს გადაცვალებულის წლიურ ჯამაგირის ორ მესამედს; უკეთუ აღემატება, მაშინ მე-5 მუხლის პირველ და მეორე პუნქტში აღნიშნულ პირთ უპირატესობა მიეცემათ, რათა მთლად დაკრიფოლებულ იქმნენ, ხოლო იმავე მუხ. მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნულ ნათესავებს-კი დაენიშნება ნაშთი, რომელიც ამ ნათესავთ, თუ ასეთი რამდენიმე აღმოჩნდება, თანაბრად გაეყოფათ; გარდა კანონიერი შვილის დაბადებისა, არავითარი ცვლილება არ დაედება საფუ-

ძელად ოჯახის წევრებისათვის დანიშნული ფულით დახმარების რაოდენობის შეცვლას.

შენიშვნა. ოჯახად ჩაითვლება: ცოლი და შვილები ყოველ შემთხვევაში, მოხუცებული მშობლები, დები და ძმები-კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ესენი ომის დაწყებამდე სხვის დაუხმარებლად სცხოვრობდნენ გადაცვლილის ხარჯზე.

მუხ. 8. ფულით დახმარების მიცემის დასაწყის გადად ჩაითვლება სამხედრო მოსამსახურის გადაცვლის დღე. დახმარების მიცემა მოესპობა დღიდან პენსიის დანიშვნისა.

მუხ. 9. უკეთუ დაობლებულ ოჯახს მომავალში მეტი პენსია დაენიშნა, ვიდრე ფულით დახმარებას იღებდა ამა დროებითი წესების მიხედვით, მაშინ პენსიიდან ეს თანხა გამოერიცხება; თუ ნაკლები დაენიშნა, მაშინ ზედმეტად მიცემული ნამდვილ გასაცლად ჩაითვლება და დანიშნულ პენსიიდან არ გამოერიცხება.

მუხ. 10. თვითეულ დაშავებულ ოფიცერსა და კლასიან ხარისხოვანს მთავრობა სადასტურო ქაღალდს აძლევს იმ ჯამაგირის რაოდენობის აღნიშვნით, რომელიც დაჭრის დროს ეძლეოდა.

მუხ. 11. თხოვნა დაჭრილობის მოწმობით და სადასტურო ქაღალდი ჯამაგირის რაოდენობისა წარედგინება აღვილობრივ თვითმმართველობის ორგანოს, რომელზედაც დამოკიდებულია როგორც დახმარების რაოდენობის გადაწყვეტა, აგრეთვე მისი მიცემაც.

შენიშვნა. უნარის რაოდენობის დაკარგვის აღნუსხვა ევალება ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ამ მიზნისათვის ხელმძღვანელობს 1918 წლის იანვრის 28 კინონით.

მუხ. 12. ომში მოკლულისა ან გადაცვლილ სამხედრო მოსამსახურის შესახებ ცნობები: ჯარის ერთეულის, ხარისხის, თანამდებობის, ჯამაგირის რაოდენობის და თვით გადაცვლის დღის აღნიშვნით წარედგინება სათანადო უფროსების მიერ სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობას, საიდანაც დაობლებულ ოჯახებს შეუძლიათ შიიღონ ატესტატი ფულით დახმარების მიღების უფლებისა; სახალხო გვარდი-ელების ოჯახები-კი ასეთ ატესტატებს მიიღებენ სახალხო გვარდიის შტაბიდან. ეს ატესტატები, თხოვნასთან ერთად, წარედგინება აღილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს, საიდანაც მიიღებენ საბოლოო ანგარიშს.

მუხ. 13. დაჭრილი სამხედრო პირი, ჰისპიტალში წამლობის შემდეგ, თუ საჭირო იქნება, განაგრძობს წამლობას საერობო საავადმყოფოში სახელმწიფოს ხარჯზე.

მუხ. 14. ეს დროებითი წესები შედის ძალაში 1918 წლის ქრისტეშობისთვის 9.

მუხ. 15. სამხედრო სამინისტრო თვალ-ყურს აღევნებს ამ კანო-

ნის ცხოვრებაში გატარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შე-  
თანხმებით და, თუ საჭიროდ დაინახა, გამოსცემს შესაფერ ინსტრუქციებს.

მუხ. 16. ამ კანონის განსახორცი ელებლად გაეხსნას სამხედრო  
შინისტრს კრედიტი სამას ორმოცდათი ათასი მანეთისა.

1919 წ. იანვრის 31.

დედანის სელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჭორდანია.

## 37. პ ა ნ ზ ნ ი

სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურის გამო ჩადენილ ზო-  
გიერთ დანაშაულისა.

I. სასჯელთა დებულების მე-V კარის (რაზძლე) სათანადო მუხლთა  
ნაცვლად დროებით შემოღებულ იქნეს შემდევი:

1. მოსამსახურე, რომელიც სამსახურის გამო ჩაიდენს მოქმედებას,

ა) რომლის ნება მიცემული არა აქვს კანონით და არც დატაღე-  
ბული საგანგებო მინდობილობით, ან თუმცა დავალებული აქვს, მაგრამ  
არა კანონის მიერ ნაჩვენებ საფუძველით;

ბ) სათანადო უფროსის ნებადაურთველად, როცა კანონი ასეთ  
ნებართვას მოითხოვს,—ხელისუფლების ასეთ გადამეტებისათვის, უკეთუ  
ეს ჩადენილია განზრას ან დაუდევრობით და ამით მიყენებულ იქნა  
თვალსაჩინო ზიანი მართვა-გამგეობის წესისა ან სახელმწიფო, საზოგა-  
დოებრივ და კერძო ინტერესებისათვის, დაისჯება:

დატუსაღებით და ჯამაგირილან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან  
გადაყენებით, ან უამშედეგებოთ.

უკეთუ ხელისუფლების გადამეტება მოხდა განზრას და მან მიაყე-  
ნა თვალსაჩინო ზიანი მართვა-გამგეობის წესს ან სახელმწიფო, საზო-  
გადო, ან კერძო ინტერესს, ან ასეთ ზიანის საფრთხე შექმნა, ან უკე-  
თუ დამნაშავემ ხელისუფლების გადამეტების დროს მიმართა ძალადო-  
ბას პიროვნების წინააღმდეგ, ან დასასჯელ მუქარას, ან უკეთუ ხელის-  
უფლების გადამეტება მოხდა ანგარების მიზნით, დამნაშავე დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან სატუსაღოში დამ-  
წყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით და აგრეთვე მთელი ქონე-  
ბის ან მისი ნაწილის კონფისკაციით, ან უამშედეგებოთ.

უკეთუ ანგარების გამო ხელისუფლების გადამეტებამ გამოიწვია  
თვალსაჩინო ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახელმწიფო, საზოგა-  
დოებრივ თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთს ზიანის საფრთხე დაბა-  
და, დამნაშავე დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით  
არა უმცირეს სამი წლისა, მთელი ქონების ან ნაწილის კონფისკაციით,  
ან უამშადეგოთ.

მოსამსახურეთ ჩაითვლება ყველა ის, ვინც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურის გამო ასრულებს რაიმე მოვალეობას, ან დროებით მინდობილებას, როგორც თანამდებობის პირი, ან მილიციის თუ სხვა გვარი დარაჯო.

2. ხელისუფლების გადამეტებად არ ჩაითვლება, როცა მოსამსახურე რაიმე არა ჩვეულებრივი გარეოებაში დაუშვებს სამსახურის გამო ისეთს მოქმედებას, რომლის შესრულება ნებადართული არ არის კანონით ან მასზე დავალებული მინდობილობით, მაგრამ რომელიც საჭიროა სახელმწიფოებრივი სარგებლობისათვის და მისი ნებართვის მიღებამდე გადადება შეუძლებელია ისე, რომ სამსახურის საქმეს საფრთხე ან ზიანი არ მოუვიდეს.

3. მოსამსახურე, რომელიც განზრახ შეუშლის ხელს მეორე მოსამსახურეს, რომ მან თავისი სამსახურის მოვალეობა აასრულოს, დაისჯება: დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან გადაყენებით, ან უაშედეგებოთ.

4. მოსამსახურე, რომელსაც დავალებული აქვს კანონით, ან საგანგებო მინდობილობით, ან თვითონ სამსახურის ხასიათით, წინასწარი ზომების მიღება იმ ზიანის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მართველობის წესს, ან სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ინტერესს, უკეთუ დამნაშავე აღმოჩნდება სამსახურის მოვალეობის მიუხედავად ზომების მიუღებლობაში, ან ისეთი მოქმედების შეუსრულებლობაში, რომლითაც ასეთი ზიანი აშორებული იქნებოდა, ასეთის უმოქმედობისათვის, უკეთუ ის ჩადენილია განზრახ ან დაუდევრობით და მისგან წარმოსდგა თვალსაჩინო ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, დაისჯება: დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან გადაყენებით, ან უაშედეგებოთ.

უკეთუ ასეთი უმოქმედობა ჩადენილია განზრახ და მისგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, ან უკეთუ ეს უმოქმედობა ჩადენილია ანგარების მიზნით, დამნაშავე დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით არა უმეტეს სამი წლისა, ან ციხეში დამწყვდევით; სამსახურიდან გამორიცხვით, ან უაშედეგოთ.

უკეთუ ასეთ ანგარებით გამოწვეულ უმოქმედობისაგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, დამნაშავე დაისჯება ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

5. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავეა იმაში, რომ მიუხედავად სამსახურის მოვალეობისა არ მიიღო ზომები კანონის გამოსაქვეყნებ-

ლად, ან სისრულეში მოსაცეანად, ასეთის უმოქმედობისათვის, უკეთუ ეს მოხდა განზრახ ან დაუდევრობით და ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახელმწიფო, საზოგადო, ან კერძო ინტერესისათვის, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედებოთ.

უკეთუ ხელისუფალის ასეთი უმოქმედობა დაშვებულია განზრახ და ამისგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, ან უკეთუ ხელისუფალის მიერ უმოქმედობა ჩადენილია ანგარების მიზნით, დამნაშავე დაისჯება ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

უკეთუ ასეთის ანგარებით გამოწვეულ უმოქმედობისაგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, დამნაშავე დაისჯება ვაღიანი კატორლით.

6. მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ მიუხედავათ მისი სამსახურის მოვალეობისა, არ მიიღო ზომა სავალდებულო დადგენილებების გამოსაქვეყნებლად, ასეთის უმოქმედობისათვის, უკეთუ ის ჩადენილია განზრახ ან დაუდევრობით და მისგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის, ან სახაზინო თუ კერძო ინტერესისათვის, დაისჯება: დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედებებოთ.

უკეთუ ხელისუფალის უმოქმედობა ჩადენილია განზრახ და ამისგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, ან უკეთუ ხელისუფალის უმოქმედობა ჩადენილია ანგარებით, დამნაშავე დაისჯება:

ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან დათხოვნით, ან უამშედებოთ.

უკეთუ ასეთი ანგარებით გამოწვეულ უმოქმედობისაგან წარმოსდგა თვალსაჩინო ზიანი მართველობის წესის ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, დამნაშავე დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

7. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე იმაში, რომ

1) არ მიიღო მისთვის სავალდებულო ზომა ისეთის ბრძანების, ან მოწერილობის ასასრულებლად, რომელიც ეკუთვნის დამნაშავეზე მაღლა მდგომ დაწესებულებას, ან მოსამსახურეს;

2) მიუხედავათ მისის სამსახურის მოვალეობისა მიღებულ ქაღალდის შესახებ არ აცნობა თავის უფროსს ან იმ დაწესებულებას, რომელშიაც ის მსახურობს, ასეთის უმოქმედობისათვის, უკეთუ ის დაშვებულია განზრახ, ან დაუდევრობით და მისგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი

ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, დაისჯება: დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგებოთ.

უკეთუ ხელისუფალის უმოქმედობა ჩადენილია განზრას და ამის-გან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართვა-გამგეობის წესის ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, ან უკეთუ ეს უმოქმედობა ჩადენილია ანგარებით, დამნაშავე დაისჯება ციხეში დამწყვდევით არა უმეტეს ერთი წლისა და სამსახურიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

უკეთუ ასეთის ანგარებით გამოწვეული უმოქმედობისაგან წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართველობის წესისა, ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, ან ასეთის ზიანის საფრთხე დაიბადა, დამნაშავე დაისჯება: ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

8. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე აღმოჩნდება იმაში, რომ არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა, რომლითაც მას დავალებული აქვს თვალ-ყურის დევნება, რომ კანონით ან სავალდებულო დადგენილებით გამოცემული წესები ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის სრულდებოდეს, დაისჯება: დატუსალებით არა უმეტეს სამი თვისა ან ჯარიმის გადახდევინებით არა უმეტეს 1000 მანეთისა და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

უკეთუ დადგენილი წესების აუსრულებლობა ეხება ხალხის ჯანმრთელობის დამცველ ზომებს გადამდებ სენისაგან, დამნაშავე დაისჯება: დატუსალებით ან დაჯარიმებით 2000 მანეთამდე და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოდ.

უკეთუ დადგენილი წესების აუსრულებლობა მოხდა ისეთ ადგილას, რომლისთვისაც კანონის მიერ ნაჩვენები გზით შემოღებულია მოქმედება საგანგებო წესებისა, რომელიც გამოიცემა განსაკუთრებით საშიში გადამდები სენის ღროს, დამნაშავე აღნიშნულ წესების დარღვევაში, უკეთუ მათი დარღვევისათვის ნაჩვენები არ არის სხვა ულიდესი ბასუხისგება, დაისჯება: ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით, ან ციხეში დამწყვდევით.

9. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე აღმოჩნდება იმაში, რომ არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა, რომლითაც მას დავალებული აქვს თვალყურის დევნება, რომ კანონი, ან სავალდებულო დადგენილებით გამოცემული წესები სოფლის მცხოვრებთათვის სურსათისა და თესლის მოპოვებისა და დახმარების უზრუნველყოფისა სისრულეში მოღილეს, დაისჯება: დატუსალებით ან დაჯარიმებით არა უმეტეს ორი ათასი მანეთისა და თანამდებობიდან დათხოვნითა ან უამშედეგოთ.

10. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავეა იმაში, რომ არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა, რომლითაც მას დავალებული აქვს თვალ-

ჟურის დევნება, რომ სრულდებოდეს კანონით ან სავალდებულო დადგენილებით გამოცემული წესები წინასწარი ზომებისა:

1) წინააღმდეგ შინაურ ცხოველების, სამეურნეო მცენარეთა და ხეხილთა იყალმყოფობისა;

2) წინააღმდეგ ისეთის ცხოველებისა და მწერების გავრცელებისა, რომელიც საზიანოა სასოფლო-სამეურნეო მცენარეულობისა და ხეხილი-სათვის, დაისჯება: დატუსალებით არა უმეტეს ოთხი თვეისა ან ჯარიმით არა უმეტეს ხუთასი მანეთისა და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

11. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე იქნება იმაში, რომ თავის მოვალეობის უცოდინარობით, ან დაუდევრობით უკანონოდ მოუსპობს ვისმეს პირად თავისუფლებას დაქრიით, ციხეში დამწყვდევით, თავისუფლების წართმევის ვადის გაგრძელებით, ან თავისუფლების შემზღვევი სხვა უფრო მძიმე სახით, —დაისჯება: დატუსალებით და ჯამაგირი-დან გამორიცხვით და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

12. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე იქნება კანონის მიერ დაუშვებელი წესით გაჩხრეკასა, დათვალიერებასა ან ნივთების ჩამორ-თმევაში, დაისჯება: დატუსალებით ან ციხეში დამწყვდევით.

უკეთუ დამნაშავემ ამ დროს მიმართა ძალადობას პირადობის წინააღმდეგ ან დასასჯელ მუქარას, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ციხეში დამწყვდევით.

უკეთუ დამნაშავემ მოახდინა გაჩხრეკა, დათვალიერება ან ნივთების ჩამორთმევა, თუნდაც სახლის პატრონის ან მისი მოადგილის ნებართვით, მაგრამ არა კანონის ძალით, არამედ მოგონილი საბუთით, ვითომდა სამსახურის მოვალეობის ასასრულებლად, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ციხეში დამწყვდევით.

უკეთუ დამნაშავემ მოახდინა გაჩხრეკა, დათვალიერება და ნივთების ჩამორთმევა არა კანონიერის გზით, არამედ გამოგონილ საბუთით, ვითომდა სამსახურის მოვალეობის ასასრულებლად, და ამისთვის მიმართა ძალადობას პიროვნების წინააღმდეგ ან დასასჯელ მუქარას, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ციხეში დამწყვდევით და მთელი ქონების, ან მისი ნაწილის ჩამორთმევით.

13. მოსამსახურე პირი, რომელიც მოახდენს დედაკაცის სირცხვილის გრძნობის შეურაცხმყოფელ გასინჯვას მის ნებადაურთვევლად ან კანონიერ მინდობილობის უქონლად, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედეგოთ.

უკეთუ დამნაშავემ მოახდინა ასეთი გასინჯვა, თუნდაც გასინჯულის ნებართვით, მაგრამ არა კანონიერის, არამედ გამოგონილი საბუთით, ვითომდა სამსახურის მოვალეობის ასასრულებლად, დაისჯება: გამასწორებელ სახლში მოთავსებით.

14. მოსამსახურე, რომელიც გამოაშვარავებს მთავრობის ისეთ განკარგულებას, ცნობას თუ დოკუმენტს, რომელიც მან გაიგო, როგორც სამსახურში მყოფმა პირმა, ან თავის, თანამდებობის უფლებებით ბოროტად სარგებლობის გამო, და რომელიც საღლუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, დაისჯება: დატუსაღებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

ამავე სასჯელით დაისჯება იგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე; რომელიც დამნაშავე აღმოჩნდება ტელეგრაფის ან ფოსტის კორესპონდენციის შინაარსის გამოქვეყნებაში, ან სხვისთვის გადაცემაში.

უკეთუ გამოქვეყნებას შეეძლო გამოეწვია მნიშვნელოვანი ზიანი მართველობის წესისა ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესი-სათვის, დამნაშავე დაისჯება: ციხეში დამწყვდევით.

უკეთუ დამნაშავის მიერ გამოქვეყნებული შეადგენს ისეთ საიდუმლოებას, რომელიც ეხება საქართველოს საგარეო მდგრმარეობას, და ამისთვის სასჯელი არ მოელის როგორც დალატისათვის. დაისჯება: გამასწორებელ სახლში ან ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედეგოთ.

15. მოსამსახურე, რომელიც გამოაშვარავებს სამსახურის ან მი-ნიჭებულ უფლებებით ბოროტად სარგებლობის გამო შეტყობილ საიდუმლოებას, რომელიც ეხება:

1) სახელმწიფო საკრედიტო ქალალდების დასაშადებელ საშუალებებს ან ამ ქალალდების ფარულ ნიშნებს;

2) მთავრობის ან კერძო პირის ხელში მყოფ ფარულ საშუალებას რამე საფნების ან სამუშაოს წარმოებისას;

3) სახაზინო ან საზოგადო საქმეზე დანიშნულ საჯარო ვაჭრობას, რომელიც ხდება დახურულ განცხადებით;

4) ცნობას, რომლის გამოქვეყნებას შეუძლია სახელი გაუტეხოს იმ პირს, რომელსაც ის ეხება;

5) შინაარსს იმ აქტისას, რომელიც შესრულებულია მასში მონაწილე პირთა სურვილისამებრ ისე, რომ მოწმებს ეს შინაარსი არ ეცნობის, იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ნოტარიულურ ნაწილის დებულებაში, დაისჯება: პირველ მუხლში ნაჩვენებ შემოხვევაში ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა, დანარჩენ შემთხვევაში სამსახურიდან გამორიცხვით.

16. მოსამსახურე პირი, რომელიც აიღებს ქრთამს ისეთი საქმის გაკეთებისათვის, რომელიც მისი სამსახურის მოვალეობას შეადგენს, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა.

უკეთუ მოსამსახურე აიღო ქრთამი, რომელიც მას წინდაწინ მიხ-ცეს ასეთი საქმის გასაკეთებლად, დაისჯება: ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ რვა თვისა.

უკეთუ მოსამსახურეს შეაძლევენ ქრთამს ან იმისთვის, რომ და-  
ნაშაული ან მცირე დანაშაული ჩადენინონ მის სამსახურის საქმეში,  
ან უკვე ჩადენილ დანაშაულობისათვის, და ის ამ ქრთამს აიღებს,  
დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და მთელი ქო-  
ნების ან მისი ნაწილის კონფისკაციით, ან უამშედეგოთ.

17. უკეთუ მოსამსახურე თითონ მოითხოვს და აიღებს ქრთამს  
ისეთის მოქმედებისათვის, რომელიც მისი სამსახურის მოვალეობას შე-  
ადგენს, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ცი-  
ხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ერთი წლისა და ოთხი თვისა.

უკეთუ მოსამსახურე მოითხოვა და აიღო ქრთამი სამსახურის დროს  
დანაშაულის ან მცირე დანაშაულის ჩასადენად, ან უკვე ჩადენილ ასეთ  
დანაშაულისათვის, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით  
და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით, ან უამშედეგოთ.

უკეთუ მოსამსახურე მიიღო ქრთამი სამსახურის გამო სხვისი შე-  
ვიწროების ან მუქარის შემწეობით, დაისჯება ტუსალთა გამასწორე-  
ბელ რაზმში გაგზავნით და მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფის-  
კაციით.

მოთხოვნა ქრთამისა, დანაშაულის ჩადენის ცდად ჩაითვლება.

18. მოსამსახურე, რომელიც თავის სასარგებლოდ დააწესებს ან აი-  
ღებს უკანონ გადასახადს, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნა-  
კლებ რვა თვისა.

უკეთუ დამნაშავე აკრებს ასეთს გადასახადს სამსახურის გამო სხვის  
შევიწროებით ან მუქარით, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში  
გაგზავნით.

დაისჯება დანაშაულის ჩადენის ცდაც.

19. სასამართლოს განსაზღვრული სესიის ნაფიც მსაჯულთა სიაში  
შეტანილი და აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შესული  
პირი, დამნაშავე იმაში, რომ აიღო მიერ მოთხოვნილი ან შეძლეუ-  
ლი ქრთამი, რომელიც მიცემული იყო იმ საქმისათვის, რომლის გარ-  
ჩევა მას მოუხდება როგორც ნაფიც მსაჯულს, დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით არა უმეტეს სამი  
წლისა.

20. მოსამსახურე, რომელიც ქრთამის ამღებს დაეხმარება 16—19  
მუხლებში აღნიშნულ ქრთამის აღებაში ქრთამის გადაცემით, მის თა-  
ვისი სახელით მიღებით ან სხვა გვარი შუაკაცობით, დაისჯება რო-  
გორც დამხარე.

21. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე იქნება:

1) იმ საჩუქრის მითვისებაში, რომელიც მას მისცეს გადასაცემად,  
ან მიიღო ვითომედა მეორე მოსამსახურისათვის გადასაცემად;

2) რომ მითვისების მიზნით აიღო ქრთამი მეორე მოსამსახურის  
სახელით, დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

22. მე-16—21 მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის გამტკუნებულს საჩქარი ჩამოერთმევა, ხოლო თუ ის მასთან არ აღმოჩნდა, გადახდება მისი ღირებულება; უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საჩქარი იძულებით იყო გამორთმეული, იგი უნდა დაუბრუნოს პატრონს; უკეთუ ქრთამი გამოიხატება რაიმე უფლების გადაცემაში, ეს უფლება გაუქმდებულად ჩაითვლება.

23. მოსამსახურე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამშენებლო მუშაობისათვის ყურისგდება, დამნაშავე იმაში, რომ შეგნებულად დაუშვა უჯარების მასალის ხმარება ან ტეხნიკური წესები არ შეასრულა, უკეთუ ასეთის მოქმედებისაგან წარმოსდგა დანგრევა მთელი შენობისა და მოწყობილობის, ან მისი ნაწილის, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედეგოთ.

ამავე სასჯელით დაისჯება აგრეთვე შენობის ან მოწყობილობის შიმლები დამნაშავე იმაში, რომ მან იცოდა, რომ შენობა ან მოწყობილობა უჯარების მასალიდან იყო გაკეთებული, ან ტეხნიკურ წესების დარღვევით, მაგრამ მაინც მიიღო შენობა და შემდეგ ის მთლად, ან მისი ნაწილი დაინგრა.

24. მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ მიიღო მითვისების მიზნით გამოხვილი არაკუთვნილი გადასახადი, ვითომდა კანონის, ან სავალდებული დადგენილების, ან საჯარო ვაჭრობის პირობით ხაზისათან დადებულ ხელშეკრულობის ასასრულებლად, ან როგორც სამსახურისათვის დაწესებული საფასური, დაისჯება ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით არა უმეტეს სამი წლისა:

უკეთუ ამასთან მოხდა ქონების დაკავება ან მისი გაყიდვა, დამნაშავე დაისჯება: ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

დაისჯება დანაშაულის ჩადენის ცდაც.

25. მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ შევიწროებით თუ მუქარით ან სამსახურის უფლებით, სხვა გვარ ბოროტ-მოქმედებით აიძულა ვინმე თავისთვის ან სხვისთვის შეესრულებია უფასოდ თუ შეუსაბამო დაბალ ფასებში არა კუთვნილი სავალდებულო სამუშაო ან ნატურალური ბეგარა, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ერთი წლისა და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედეგოთ.

დაისჯება დანაშაულის ჩადენის ცდაც.

26. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავეა იმაში, რომ

1) არ ასრულებს ანგარიშის წარმოების, ფულის ან სხვა გვარ ქონების მიღების, შენახვის და გაცემის წესებს;

2) არღვევს იმ წესს, რომელიც შემოღებულია საანგარიშო წიგნების წარმოებისათვის;

3) არ მისდევს იმ წესებს, რომელიც შემოღებულია იმ წიგნებისათვის და რომელიც დაწესებულია სხვა-და-სხვა გვარ საქმის ჩასწე-

რად, და აგრეთვე იმ წიგნებისათვის, რომელიც დაწესებულია უძრავ ქნების უფლების გადაცემის ან შეზღუდვის აღსანიშნავად.

უკეთუ აღნიშნული მოქმედებანი ჩადენილია განზრახ, ან თუმცა არა განზრახ, მაგრამ მათ მოჰყვა სამსახურის აღნიშნულ დარგის არევა და მნიშვნელოვანი ზიანი მართველობის წესისა, ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, დაისჯება: დატუსაღებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედებელობა.

უკეთუ ეს დანაშაულობანი ჩადენილია ანგარების სურვილით, დაპნაშავე დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა.

27. მოსამსახურე, რომელიც დამნაშავე იქნება იმაში, რომ:

1) შეადგენს ისეთ დოკუმენტს, სადაც აშკარა სიყალბით იქნება აღნიშნული. ის გარემოება, რომელსაც ეს დოკუმენტი ამოწმებს;

2) აშკარა ყალბ ცნობებს მოათავსებს იმ წიგნებში, რომელიც შემოღებულია ფულის თუ რომელიმე სხვა ქრების. ან მართველობის წესისთვის საჭირო სხვა რამე საგნების ჩასწერად, დაისჯება:

ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

28. მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ სამსახურის დაუღევრობის გამო შეატყობინა ან დაადასტურა სიტყვიერად თუ წერილობით არა სწორი ცნობა, რომლისაგანაც წარმოსდგა მნიშვნელოვანი ზიანი მართველობის წესისა და სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესისათვის, დაისჯება:

დატუსაღებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან დათხოვნით ან უამშედებელობა.

29. მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ სამსახურის დროს წერილობით თუ სიტყვიერად მისუა ყალბი ცნობა, უკეთუ ამით მიაყენა მართველობის წესს ან სახაზინო, საზოგადო თუ კერძო ინტერესს თვალსაჩინო ზიანი, დაისჯება ციხეში დამწყვდევით.

უკეთუ ეს დანაშაული ჩადენილია იმისთვის, რომ ამით აშკარა უდანაშაულო პირის გამტყუნება ან ექვსი ქვეშ დაყენება გამოეწვია, დამნაშავე დაისჯება ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

30. მოსამსახურე, რომელიც თავის დროზე არ ჩასწერს წიგნში, ან თავის დროზე არ გაგზავნის ფულს ან სხვა საგნებს, რომელთა ჩაწერა და გაგზავნა მისი სამსახურის მოვალეობას შეაღებნს, უკეთუ ეს მოქმედება ჩადენილია განზრახ, გარდა ფულის გადახდევინებისა, რაც საანგარიშო წესდებაშია აღნიშნული, დაისჯება: დატუსაღებით და სამსახურიდან გამორიცხვით ან თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედებელობა.

უკეთუ ეს დანაშაული ჩადენილია ანგარების სურვილით; დამნაშავე დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა, სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედებელობა.

31. უკეთუ ნოტარიუსი ან სხვა მოსამსახურე, რომელსაც კან-

ნით მინდობილი აქვს აქტის შესრულება, შემოწმება, ან დამტკიცება, დამნაშავეა ისეთის აქტის შესრულებაში ან დამტკიცებაში, რომელიც აკრძალულია კანონით, დაისჯება:

დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით და თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედეგოთ.

ამავე სასჯელით დაისჯება მოსამსახურე, რომელიც აღნიშნულ აქტის შედგენაში მონაწილეობდა როგორც სახაზინო ან საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელი.

32. მოსამსახურე, რომელიც სამსახურის გამო ვალდებულია რომელიმე მოქმედება შეასრულოს და ამ მოქმედების შესრულების დროს განზრახ დარღვევს კანონის მიერ შემოღებულ ისეთს წესს, რომლის დარღვევა თვით ამ მოქმედებას აბათილებს, დაისჯება:

დატუსალებით ან ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით ან თანამდებობიდან გადაყენებით, ან უამშედეგოთ.

უკეთუ აღნიშნულ წესების დარღვევა მოხდა ანგარების სურვილით, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედეგოთ.

33. უფროსი ან უმცროსი ნოტარიუსი ან სხვა მოსამსახურე, რომელსაც კანონით მინდობილი აქვს შესრულება, დამოწმება და დამტკიცება აქტისა, დამნაშავე ისეთ ფორმების დარღვევაში, რომელიც იწვევს დამოწმების გაუქმებას და ან თვით აქტს უკარგავს აქტის ძალას, უკეთუ ეს დარღვევა ჩადენილია იმ მიზნით, რომ აღნიშნულ აქტს ძალა დაეკარგოს, დაისჯება:

ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა.

უკეთუ ეს დანაშაული ჩადენილია ანგარების სურვილით, დამნაშავე დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით არა ნაკლებ სამი თვისა.

34. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში მოსამსახურე, დამნაშავე იმაში, რომ

1) მოსპო, დამალა ან მიითვისა საფოსტო კორესპონდენცია თუ ტელეგრამა, ან დააგვიანა მისი გადაგზავნა ან მიცემა;

2) დაამახინჯა საფოსტო კორესპონდენციის თუ ტელეგრამის წერილობითი შინაარსი;

3) გამოაქვეყნა ან ვინმეს შეატყობინა ტელეგრამის ან დახურული საფოსტო კორესპონდენციის შინაარსი, თუნდაც სამსახურისათვის თავის დანებების შესდევ, ან გადასცა ეს ტელეგრამა და საფოსტო კორესპონდენცია არა სათანადო პირს იმ მიზნით, რომ უკანასკნელს მისი შინაარსი გაევი;

4) გახსნა საფოსტო კორესპონდენცია ან ტელეგრამა, უკეთუ ეს ჩადენილია ანგარების მიზნით და დამნაშავეს ამისათვის არ მოელის

სხვა უფრო დიდი სასჯელი, დაისჯება: პირველი და მეორე პუნქტით აღნიშნულ შემთხვევაში ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით არა უმეტეს სამი წლისა, დანარჩენ შემთხვევებში ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედევოთ.

დაისჯება დანაშაულის ჩადენის ცდაც.

ამავე წესით და ამავე სასჯელით დაისჯება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე, რომელიც დაუშვებს, რომ ამ მუხლში აღნიშნული დანაშაული სხვა მოსამსახურებ ჩაიდინოს.

35. მოსამსახურე, რომელიც კანონის მიერ აკრძალული და მისი თანამდებობისათვის შეუფერებელი ქონებრივი ხასიათის საქმიანობას მოეკიდება, დაისჯება:

დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით, ან თანამდებობიდან დათხოვნით, ან უამშედევოთ.

ამავე სასჯელით დაისჯება ის მოსამსახურე, რომელიც მისი თანამდებობისათვის შეუფერებელ მრეწველობას, ვაჭრობას ან სხვა ქონებრივ ხასიათის საქმეს ან კერძო მინდობილობის ასრულებას დაივალებს, როცა ეს კანონით აკრძალული აქვს, ან როცა უფროსის ნებართვა საჭირო და ასეთი ნებართვა მას მოცემული არა აქვს.

36. მოსამსახურე, რომელსაც მინდობილი აქვს სამეურნეო საქმეების ყურისგდება ან საიჯარო და მის მაგვარ ხელშეკრულობის დადება, დამტკიცება და შესრულება, ან საჯარო ვაჭრობის მოხდენა, ან აღნიშნულ მოქმედების შესრულებისათვის ყურისგდება, და რომელიც დამნაშავე იქნება იმაში, რომ ამ ხელშეკრულობაში კანონის მიერ აკრძალულ მონაწილეობას მიიღებს ან ხელშეკრულობისათვის გირაოს შეიტანს თვითონ, ან თავის ცოლის ან სხვა პირის სახელით, დაისჯება:

ციხეში დამწყვდევით არა ნაკლებ ექვსი თვისა და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედევოთ.

შეტანილი გირაო დამნაშავეს ჩამოერთმევა.

37. მოსამს ხურე, რომელიც დამნაშავეა იმაში, რომ

1) ზომას და სასწორს ბეჭედი დაასვა, თუმცა იცოდა, რომ ის სწორი არ იყო;

2) ნაწარმოებს, რომლის შემოწმება საჭიროა, ყალბი აიარი (პრობა) დაადო, დაისჯება: ციხეში დამწყვდევით და სამსახურიდან გამორიცხვით, ან უამშედევოთ.

38. მოსამსახურე, რომელსაც დავალებული აქვს, რომ სანოვაგეს ან სხვა საქონელს დაასვას ნიშანი იმის დასამოწმებლად, რომ ის ჯანმთელობისათვის მავნე არ არის, და ასეთ ნიშანს დაასვამს შეუმოწმებლად, დაისჯება:

დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით ან თანამდებობიდან გადაყენებით, ან უამშედევოთ

უკეთუ ასეთს ნიშანს დაასვამს ჯანმთელობისათვის მავნე სანოვა-  
გეს ან სხვა საქონელს, დაისჯება:

ციხეში დამწყვდევით.

39. მოსამასახურე, რომელიც მიითვისებს მინდობილ სახელმწიფო  
ან საზოგადოებრივ მოძრავ ქონებას, დაისჯება:

ციხეში დატუსალებით არა ნაკლებ ექვსი თვისა;

უკეთუ მითვისებული ქონების ღირებულება აღემატება ორი ათასს  
მანეთს, დამნაშავე დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით;

უკეთუ მითვისებული ქონების ღირებულება არ აღემატება ხუთს  
მანეთს, ან უკეთუ დამნაშავე თავის ხელით დააბრუნებს მითვისებულ  
ქონებას ან სხვა გზით დააკმაყოფილებს დაზარალებულს, სანამ სასამარ-  
თლოს განაჩენი ან გარდაწყვეტილება იქნებოდეს გამოცხადებული,  
დაისჯება:

ციხეში დამწყვდევით არა უმეტეს ექვსი თვისა;

უკეთუ დამნაშავე ამ მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ მითვი-  
სებას ჩაიდენს მოუფიქრებლად, დაისჯება:

დატუსალებით და ჯამაგირიდან გამორიცხვით და თანამდებობი-  
დან დათხოვნით, ან უამშედევოთ.

40. ჩრდილებული, რომელსაც მთავრობის, ან საზოგადოებრივი  
ორგანიზაციის მიერ მინდობილი აქვს ცეცხლისა ან სურსათის ნაკლე-  
ბობისა თუ სხვა გვარ სახალხო უბედურობისაგან დაზარალებულთა-  
თვის დახმარების აღმოჩენა, და დამნაშავე აღმოჩნდება იმაში, რომ

1) მიითვისა ქონება, რომელიც დაზარალებულთათვის უნდა დაე-  
რიგებინა;

2) ანგარების მიზნით მისცა დაზარალებულისთვის დასარიგებელ  
ქონებიდან დახმარება ისეთ პირს, რომელსაც ის არ ცალკევნოდა, დაის-  
ჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით.

41. მთავრობის მიერ ნებადართულ საქველმოქმედო ან საკრედი-  
ტო დაწესებულებაში, საურთიერთო დამზღვევი, პატივები დამყარებულ  
ან საქციონერო საზოგადოებაში მოსამასახურე პირი, რომელიც დამ-  
ნაშავეა იმაში, რომ თავის სამსახურის მდგომარეობა მოიხმარა მინდო-  
ბილი ქონების ან საზოგადო ინტერესის საზიანოდ და ასეთის მოქმე-  
დებისაგან წარმოსდგა ზიანი, დაისჯება:

ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით და მთელი ქონების  
ან მისი ნაწილის კონფისკაციით.

ხოლო უკეთუ ზიანის სიღიღისა გამო მნიშვნელოვანი ზარალი  
მიეცა ხაზინას, ან ამას მოჰყვა საკრედიტო დაწესებულების საქმეთა  
დაშლა, ან მრავალ პირთა ქონების განადგურება, დამნაშავე დაისჯება:  
კატორლით, ან მთელი ქონების ან ნაწილის კონფისკაციით.

ამავე სასჯელით და ამ მუხლში აღნიშნულ წესით დაისჯებიან ზემოხსენებული პირები, რომელიც დამნაშავე იქნებიან მათი მზრუნვლობის ქვეშ მყოფ ქონების მითვისებაში.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაისჯება აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ცდაც.

42. ამ კანონში აღნიშნული სასჯელი დაიდება შემდეგი ვადით:

ა) კატორდა ოთხიდან თხუთმეტ წლამდე;

ბ) ტუსალთა გამასწორებელი რაზმი წელიწად ნახევრიდან ექვს წლამდე;

გ) ციხეში დამწყვდევა ორი თვიიდან ექვს წლამდე, და

დ) დატუსალება ერთი დღიდან ექვს თვემდე.

43. ამ კანონში აღნიშნულ ერთ-ერთ სასჯელის დადება იწვევს იმ შედეგს, რომელიც ჩამოთვლილია სისხლის სამართლის დებულებაში. ციხეში დამწყვდევის მისჯა იწვევს თანამდებობიდან გადაყენებას.

44. დამნაშავეს, რომელიც მიჩნეულ იქნება შეღავათის ლირსად, სასჯელი შეუმსუბუქდება შემდეგი საფუძველით:

1) არ შეიძლება დაენიშნოს ამ დანაშაულისთვის კანონში აღნიშნული უმაღლესი სასჯელი;

2) როცა კანონში ნაჩვენებია სასჯელის უმცირესი ხარისხი, სა- სამართლოს ნება აქვს შეუმციროს სასჯელი უმცირეს ხარისხამდე;

3) როცა კანონში აღნიშნული არა განსაკუთრებული განსაზღვრა დანაშაულის სასჯელის უმცირეს ხარისხისა, სასამართლოს შეუძლია შეამციროს ეს სასჯელი უმცირეს კანონიერ ხარისხამდე, ან გადავიდეს სხვა გვარ სასჯელზე შემდეგის წესით: ვადიან კატორდიდან ტუსალთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნაზე; ტუსალთა რაზმიდან — ციხეში და- წყვდევაზე და ამ უკანასკნელიდან — დატუსალებაზე.

45. წინასწარი დატყვევება შეიძლება დაშნაშავეს სასჯელში ჩა- ეთვალის, უკეთუ მას მიესჯება ტუსალთა გამასწორებელი რაზმი, ციხე ან დატუსალება.

46. ამ კანონით დაისჯება ყოველი დანაშაული, რომელიც ჩადე- ნილია 1918 წლის მაისის 26-ს შემდეგ.

47. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა პარლამენტის შიგრ.

1919 წ. იანვრის 31.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანგი ე. თაყაიშვილი.  
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანია.

## 38. პ ა ნ ზ ნ ი

შთავრობის ოფიციალურ თრგანოს „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსებისა.

1. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“.

2. პირველ მეტლში აღნიშნული ორგანოს გამოცემისთვის, თანახმად ამ კანონთან დართული შტატის და ხარჯთ-აღრიცხვისა, გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან 1918 წლის ივნისის 25-დან 1919 წლის იანვრის პირველმდე ოთხმოცდაშვიდი ათას ექვსას ორმოცდათი მანეთი (87.650).

1919 წ. იანვრის 31.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურულანია.

## უ ტ ა ტ ი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისა.

შედები შ. ჯ.	თ ა ნ ა მ დ ე ბ თ ბ ა ნ ი	შედები შ. ჯ.	ჯაშაგირის რაოდე- ნიბა	
			თვიურად მანეთობა:	წლიურად მანეთობა:
1	რედაქტორი . . . . .	1	950	11.400
2	მდივანი . . . . .	1	900	10.800
3	მდივნის თანაშემწე . . . . .	1	700	8.400
4	მთარგმნელი . . . . .	1	600	7.200
5	ქრონიკორი (თითოს 200 გ. თვიურ.)	2	400	4.800
6	კორექტორი (ერთს 700 გ., მეორეს 500 მან. თვიურად) . . . . .	2	1.200	14.400
7	კანტორის გამგე . . . . .	1	800	9.600
8	მისი თანაშემწე . . . . .	1	600	7.200
9	ექსპედიტორი . . . . .	1	550	6.600
10	მისი თანაშემწე (ერთს 450 მან., მეორეს 350 მან. თვიურად) . . .	2	800	9.600
11	მსახური (თითოს 350 მან. თვიურად).  ს უ ლ . . .	2	700	8.400
		15	8.200	98.400

1919 წ. იანვრის 31.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურულანია.

ԵԱՀԱՅՈՒԹԻՒՆ

„ଦୟବସାଧିକାରୀଙ୍କ ଜୀବନରେ ଅନ୍ୟତଥାରେ ଏହାରେ ପ୍ରମାଣିତ ହେଲାଯାଇଛି ।

## 39. დროებითი დეგულება

**საქართველოს წყალთა ძალის გამოყენებისა.**

1917 წლის მაისის 5 რუსთის დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულისა და 1917 წლის სექტემბრის 19 მე-227 №-რით გამოქვეყნებულ წყალთა ძალის გამოყენების დროებითი კანონის ნაცვლად შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

1. საქართველოს წყალთა ძალა იმყოფება სახელმწიფოს განკარგულებაში.

2. საქართველოს წყალთა ძალის გამოყენებისათვის სადგურების მოწყობა, აგრეთვე მათი ექსპლოატაცია და ძალთა განვითარება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ამ წესების თანახმად.

3. უფლება სადგურების მოწყობისა და მათი ექსპლოატაციისა, როდესაც სადგურის სიმძლავრე 300 ცხენის ძალას აღემატება, გაიცემა კონცესიის წესით.

4. კონცესიებს საბოლოოდ ამტკიცებს: ა) საკანონმდებლო ორგანო, როდესაც სადგურის სიმძლავრე აღემატება 10 ათას ცხენის ძალას; ბ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში — მთავრობა.

5. უფლება იმ სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციისა, რომლის სიმძლავრე 300 ცხენის ძალას არ აღემატება, მიეცემა სანებართვო მოწმობით, რომელსაც აძლევს: ა) მთავრობა, როცა წყალთა ძალის გამოყენება საჭიროებს იძულებით ჩამორთმევას ან დროებითი დაჭრის სხვისი უძრავი ქონებისას, და ბ) წყალთა სამმართველო ყველა დანარჩენ შემთხვევაში თანახმად 1890 წ. დეკემბრის 3-ს წყალთა კანონისა.

**შენიშვნა.** სადგურის სიმძლავრე აღირიცხება ფორმულით  $W=10 \text{ QH}$ , სადაც  $Q$  აღნიშნავს წყლის ხარჯვას კუბიკურ მეტრით წამში, ხოლო  $H$  წყლის გამოსაყენებ სვეტის სიმაღლეს მეტრით.

6. სათანადო წესით დადასტურებულ საკონცესიო ხელშეკრულობას დასდებს მთავრობის სახელით მიწათ-მოქმედების მინისტრი.

7. ამ დებულების მე-5 მუხლში მოხსენებულ მოვალეობათა გარდა, წყლის სამმართველოს მოვალეობაა ყველა საადმინისტრაციო და სატენიკო საქმის გადაჭრა.

8. თავის განცხადებით წყლის ძალთა ექსპლოატაციის შესახებ მწარმოებლებმა უნდა მიმართონ წყალთა სამმართველოს, ხოლო ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, როდესაც მას არა აქვს უფლება საკითხი საბოლოოდ თვითონ გადასჭრას, მწარმოებლის განცხადებას ყველა საჭირო შემოწმებული მასალით და თავის დასკვნით წარუდგენს მიწათ-მოქმედების მინისტრი, უკეთუ

5233

1919

მას არა აქვს უფლება საკითხის საბოლოოდ გადაჭრისა, მთავრობას წარუდგენს საქმეს თავისი დასკვნით.

9. უკეთუ წყალთა ძალის საექპლიატაციო ან ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემ მოწყობილობათა გასამართავად საქირო ჩამორთმევა, დროებით დაჭრა სსვისი უძრავი ქონებისა, ან ამ ქონებით სარგებლობაში მონაწილეობა და მწარმლებელი და ქონების პატიონი ნებაყოფლობით ვკრ შეთანხმდენ, იმ შემთხვევაში იძულებით ჩამორთმევა, დროებით დაჭრა, ან ქონების სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესება მოხდება მთავრობის დადგენილებით, თანახმად იმ წესისა, რომელიც მიღებულია რეინის გზის საჭიროებისათვის უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევისა, დროებით დაჯერისა, ან მონაწილეობის უფლების დასაწესებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ მრეწველს უფლება მიეცეს დაუყოვნებლივ დაჭიროს მისთვის საჭირო უძრავი ქონება.

შენ ი შვ ნ. ა. იძულებით ჩამორთმევა, ნამდვილ საჭიროების მიხედვით, შეიძლება შეეხოს იმ უფლებებსაც, რომელიც სამთო მრეწველებს აქვთ მაღნეულობის დამუშავებისათვის მინიჭებული.

10. სახელმწიფო მმწის ნაკვეთი, რომელიც სადგურების ას შენებლად ან ელექტრონის ენერგიის მანძილზე გადასაცემად არის საჭირო, საჯარო ვაჭრობის დაუნიშნავად უნდა გადაეცეს იჯარით კონცესიის ამლებს იმ ვადით, რა ვადითაც კონცესია აქვს აღებული. სათანადო სელ-შეკრულობას დასდებს კონცესიის ამლებთან მიწათ-მოქმედების მინისტრი.

1919 წ. იანვრის 31.

დედანის ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. უარდანია.

## 40 საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

1. პარლამენტის მოქმედება შეჩერებულ იქნეს ამა იანვრის 31-დან.
2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელ კრების შეკრებისა.
3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისია.

1919 წ. იანვრის 31.

დედანის ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანგი ე. თაყაიშვილი.

**შეცდომის გასწორება:** „განთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“ ამა 1919 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილა შე-2 კანონი: „სისხლის სამართლის წესდების შე-438<sup>1</sup> მუხლის შესქესისა, რომელის დედანშიაც შემდეგი შეცდომაა: შე-438<sup>1</sup> მუხ. ტექსტში მოხსენებულია სისხლის სამართლის წარმოების წესდების შე-338 მუხ. უნდა ი ე ა : შე-388 მუხ.“